

ნატოს როლი კრიზისების მართვაში

ანა ძოწენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ძოწენიძე

05.02.2015

აბსტრაქტი

1949 წელს შექმნილი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ძირითადი დანიშნულება ომისგან დასუსტებული ევროპის საბჭოთა კავშირის გავლენისგან დაცვა, წითელი საფრთხის შეკავება იყო. ბიპოლარულ მსოფლიოში ნატო თავის ფუნქციას კარგად ასრულებდა, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა თითქოს მას არსებობის საზრისი გამოეცალა და როგორც ყველა ალიანსის, ისე მისი დაშლის საკითხი დადგა დღის წესრიგში. თუმცა ცივი ომის დასრულებამ ეთნიკური, ტერიტორიული თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას შეუწყო ხელი, უკვე საფრთხე არაპროგნოზირებადი იყო და ყოველი მხრიდან ამოხეთქილ კრიზისებს შესაძლოა ჩრდილო-ატლანტიკური საზღვრებიც გადმოელახა. ამ დროიდან შემოდის აქტიურ ხმარებაში ტერმინი კრიზისების მართვა და ნატოს საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. შედეგად ალიანსმა გარემოსთან ადაპტაცია კრიზისებში ჩართვით და ახალი საფრთხის განეიტრალებით მოახერხა.

წინამდებარე ნაშრომი განმარტავს ტერმინს, თეორიულ ჭრილში განიხილავს მის ევოლუციას ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებში და კრიზისების საპასუხო ოპერაციების კლასიფიკაციას, ხოლო შემდეგ განიხილავს სამ შემთხვევას ბოსნიას, კოსოვოს და ავღანეთს, როგორც ნატოს მონაწილეობით დარეგულირებულ კრიზისებს. განვიხილავთ ამ ოპერაციების შედეგების შეფასებებს. კვლევას შეიძლება ვუწოდოთ მეორადი, რადგან ის ეყრდნობა ამ საკითხის ირგვლივ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, ალიანსის ოფიციალურ დოკუმენტებს, გამოცემებს, ასევე პროცესებში ჩართული ოფიციალური პირების ანგარიშებს. ნაშრომი ცდილობს შეაფასოს ნატოს როლი კრიზისების მართვაში სამ კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით. ასევე განვიხილავთ მის მეთოდებს, მიდგომებს კრიზისის მოსაგვარებლად, სამხედრო, სამშვიდობო თუ სამოქალაქო ჩართულობას. კვლევის მიზანია შექმნას ამ მეტად აქტუალური და მზარდი საკითხის შესახებ ცოდნა. ნატოს საკითხით დაინტერესება კი გამომდინარეობს საქართველოში ნატოს აქტუალურობიდან და თავად ალიანსის, როგორც მსოფლიო უსაფრთხოების კონტრიბუტორის როლის კვლევის ინტერესიდან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ნატო; კრიზისების მართვა; ეთნიკური კონფლიქტი; ბალკანეთი; ავღანეთი; ტერორიზმი; თალიბანი; სამშვიდობო ოპერაციები; კრიზისების*

Abstract

The main purpose for creation of the North Atlantic Treaty Organization in 1949 was to secure war torn Europe from the influence of the Soviet Union, in order to deter the red threat. NATO could handle those issues in the bipolar world. However after the dissolution of the USSR the alliance lost its threat, therefore the purpose and it faced the question of disintegration. Albeit the completion of the cold war unleashed the frozen ethnical and territorial conflicts and the threat became multi-directional, hence it might have crossed the north-Atlantic borders as well. The usage of the term Crisis Management became much frequent henceforth and has taken important place in the agenda of NATO. Therefore alliance adapted to the new reality through tackling the crisis.

This thesis explains the term itself, describes its evolution through NATO's strategic concepts and classifies crisis-management operations according to the alliance. Afterwards analyses three case studies – Bosnia, Kosovo and Afghanistan as the crisis managed by NATO. We are going to discuss the outcomes of NATO involvement in the above mentioned cases. The research is based on the existing scientific literature, official documents, publications and the reports of the officials. It is so called “desk research”. The thesis tries to assess the role of NATO in crisis management based on the three case analyses. We also discuss NATO's approach and methods while managing the crises and the wide span of its military, civilian and peace-keeping involvement. The purpose of this research is to create knowledge and awareness about this important and rising issue of crisis management. Choosing NATO policy as a research topic stems from the high aspirations towards alliance in Georgia, as well as, the personal interest in NATO as a global security contributor.

Key words: NATO; crisis management; ethnic conflict; Balkans; Afghanistan; terrorism; Taliban; peace support operations; crisis response operations; peace enforcement; State building; KFOR; SFOR; ISAF.